შეთანხმების აქტი #1

თბილისი 23 სექტემბერი, 2016 წელი

ერთის მხრივ შპს."ელზურო", დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის იურიდიული მისამართია, თბილისი, გორგასლის ქ. #63, საიდენტიფიკაციო კოდი: 402004353, მისი დირექტორის ნონა მაჭარაშვილის სახით (პ/ნ 62001009105), როგორც „შემკვეთი"

და

მეორეს მხრივ, შპს. „ეიჩ დი აუს დეველოპმენტი" , რომლის იურიდიული მისამართია თბილისი, ილია ჭაჭავაძის გამზ. #2/კეკელიძის ქ. #2, სართული 3, ბ. #34, საიდენტიფიკაციო კოდი : 404486515, მისი დირექტორის დალი ბენაშვილის სახით (პ/ნ01034005571), როგორც „შემსრულებელი"

ვდებთ წინამდებარე შეთანხმების აქტს შემდეგზე:

1. „შემკვეთსა" და „შემსრულებელს" შორის 2015 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად მოლაპარაკების გზით შეწყდეს მხარეთა შორის გაფორმებული 2015 წლის 22 დეკემბრის ხელშეკრულება და დანართი #1.
2. „შემკვეთსა" და „შემსრულებელს" შორის 2016 წლის 23 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად მოლაპარაკების გზით შეწყდეს მხარეთა შორის გაფორმებული 2016 წლის 23 მაისის ხელშეკრულება და დანართი #1.

3. წინამდებარე შეთანხმების ხელისმოწერის მომენტისთვის „შემკვეთს" გადარიცხული აქვს „შემსრულებლისთვის" გადარიცხვის მომენტისთვის ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად :

* 2015 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების დანართი #1-ით განსაზღვრული სამუშაოთა შესრულების ეტაპების:

ა) I -- 63 857,73 აშშ დოლარის ექვივალენტი (22.12.2015 წ.) 153 15 0,0 ლარი;

ბ) II-- 20 904,97 აშშ დოლარის ექვივალენტი (01.02.2016 წ.) 51 675 ლარი;

გ) III – 66 459,60 აშშ დოლარის ექვივალენტი (10.02.2016 წ.) 165 205,28 ლარი;

* 2016 წლის 23 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების დანართი #1-ით განსაზღვრული

მუშაოთა შესრულების ეტაპების:

ა) I -- 25% , 69 530,27 აშშ დოლარის ექვივალენტი (23.05.2016 წ.) 149 205 ლარი;

ბ) II- III - 25%+25%=50% 138 962,53 აშშ დოლარის ექვივალენტი (19.07.2016) 325 255,69 ლარი;

* 2015 წლის 6 აპრილის შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) დანართი #1-ის ანაზღაურების I ეტაპით განსაზღვრული ავანსი, ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულების 30%:

ა) 24 921,44 აშშ დოლარის ექვივალენტი (07.04.2015 წ.) 56 085 , 71 ლარი;

ბ) 20 791,07 აშშ დოლარის ექვივალენტი (04.06.2015 წ.) 47 846,48 ლარი.

„შემკვეთისა“ და „ შემსრულებლისთვის“ ცნობილი ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო გაუქმდა ყველა სამშენებლო დოკუმენტაცია , რაც „შემკვეთის“ მიერ „შემსრულებლისათვის ‘’ გადახდილი თანხებით და დაკვეთით იქნა მოპოვებული „შემკვეთის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი : 01.10.13.18.024) , ხოლო მხარეთა შეთანხმებით 2015 წლის 6 აპრილის შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) დანართი #1-ის ანაზღაურების I ეტაპით განსაზღვრული ავანსის სახით „შემსრულებლის“ მიერ უკვე მიღებული თანხები: 56 085 , 71 ლარი+47 846,48 ლარი.=103 932,19 ლარი გადმოტანილი იქნა 22.12.2015 წლის ხელშეკრულების საგნის ღირებულების დასაფარად და მისი გაქვითვის პრინციპი განსაზღვრული იქნა 22.12.2015 წლის დანართი #1-ის ანაზღაურების ეტაპებში. „შემკვეთის“ მიერ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი : 01.10.13.18.024) , მდებარე გამსახურდიას გამზირი #23ა, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი : 01.18.06.005.056), მდებარე გორგასლის ქ. #63, იძულებით დათმობის გამო გაუქმებულად ჩაითვალა 06.04.2015 წ. შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი) .

წინამდებარე შეთანხმების აქტის ხელისმოწერის მომენტისთვის „შემკვეთს“ გადახდილი აქვს „შემსრულებლისთვის“ ჯამში 405 427,61 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნული ვალუტის სახით 948 423 ლარი და 16 თეთრი, საიდანაც დღგ არის 144674,72 ლარი.

4. წინამდებარე შეთანხმების მესამე პუნქტში მითითებული 22.12.2015 წ. და 23.05.2016 წ. ხელშეკრულებების I , II და III ეტაპებით დათქმული სამუშაოები „შემკვეთის“ მიერ „შემსრულებლისათვის“ გადარიცხული თანხებით შესრულდა ხარვეზებით ,რაც გამოსწორებული იქნა „შემკვეთის“ მითითებით. მხარეები წინამდებარე შეთანხმების აქტზე ხელის მოწერით ადასტურებენ მზადყოფნას მიღება-ჩაბარების აქტით სამუშაოთა შესრულების დადასტურებაზე.

5. წინამდებარე შეთანხმების აქტით (#1) მხარეები თანხმდებიან , რომ „შემკვეთის“ საკუთრებაში რჩება :

ა) თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის ბრძანებით# 2404850 შეთანხმებული ნაგებობა #1-ის არქიტექტურული პროექტი .

ბ) თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 მარტის ბრძანებით #241387 გაცემული მშენებლობის ნებართვა.

გ) თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის ბრძანებით #2673192 შეთანხმებული ნაგებობა #2-ის არქიტექტურული პროექტი .

დ) თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 08 ივლისის ბრძანებით #2697469 გაცემული მშენებლობის ნებართვა.

ე) ნაგებობა #1-ის და ნაგებობა #2-ის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტები ხელმოწერილი, ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ.

ვ) ნაგებობა #1-ის და ნაგებობა #2-ის კონსტრუქციული პროექტები გადანომრილი, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ.

ზ) ნაგებობა #1-ის და ნაგებობა #2-ის ყველა საექსპერტო დასკვნა, მათ შორის გეოლოგიური, კონსტრუქციული, ჰიდროლოგიური.

6. 2015 წლის 22 დეკემბრის და 2016 წლის 23 მაისის ხელშეკრულებების დანართი #1-ის თანახმად IV ეტაპით განსაზღვრულ სამუშაოებს „შემკვეთი“ შეასრულებს თვითონ და ამ ეტაპით განსაზღვრული სამუშაოების შესასრულებლად დათქმულ თანხებს აღარ გადასცემს „შემსრულებელს“ .

7. წინამდებარე შეთანხმების აქტზე ხელისმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ მათ შორის დავის საგანი არ არსებობს და ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

შპს “ელზურო“ , ს/კ 402004353

დირექტორი ნონა მაჭარაშვილი ----------

შპს „ეიჩ დი ჰაუს დეველოპმენტი“, ს/კ 404486515

დირექტორი დალი ბენაშვილი----------

აქტი სამშენებლო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარებაზე

ქ.თბილისი

25 სექტემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ შპს 'ელზუროს" (ს/ნ 402004353) უფლებამოსილი წარმომადგენელი, დირექტორი ნონა მაჭარაშვილი (პ.ნ.62001009105) და მეორე მხრივ შპს "ეიჩ დი ჰაუს დეველოპმენტის" (ს/ნ 404486515) უფლებამოსილი წარმომადგენელი, დირექტორი დალი ბენაშვილი (პ.ნ.01034005571) 2015 წლის 22 დეკემბრის და 2016 წლის 23 მაისის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ ნონა მაჭარაშვილმა მიიღო და დალი ბენაშვილმა დედნების სახით ჩააბარა შპს "ელზუროს" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე თბილისში, გორგასლის ქ. №63-ში, საკ. კოდი №01.18..06.005.056 განსახორციელებელი მრავალფუნქციური კომპლექსის "კრწანისის ტყუპების" შემდეგი სახის სამშენებლო დოკუმენტაცია:

1. შენობა-ნაგებობა №1-ის და №2-ის მშენებლობის არქიტექტურული პროექტები (დედნები) ტოპოგეგმებით კორექტირებამდე და კორექტირების შემდეგ, თბილისის არქიტექტურული სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად ასაშენებელი ობიექტის ვიზულური დოკუმენტაციით, დამოწმებული "შემსრულებლის" ხელმოწერით და შპს "ეიჩდი დეველოპმენტის" ბეჭედით, თითო ეგზემპლიარი;
2. შენობა-ნაგებობა №1-ის და №2-ის მშენებლობის კონსტრუქციული პროექტები (დედნები), დამოწმებული "შემსრულებელი" პირების ხელმოწერით და შპს "ეიჩდი დეველოპმენტის" ბეჭედით, თითო ეგზემპლიარი. საექსპერტო დასკვნები თითოეულ კონსტრუქციულ პროექტზე, ასევე თითო ეგზემპლიარი;
3. შენობა-ნაგებობა №1-ის და №2-ის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტები, დამოწმებული შემსრულებლების ხელმოწერით და შპს "ეიჩდი დეველოპმენტის" ბეჭედით, თითო ეგზემპლიარი;
4. გეოლოგიური კვლევები შენობა-ნაგებობა №1-ის და №2-ისთვის ცალცალკე, დამოწმებული შემსრულებლების ხელმოწერით და შპს "ეიჩდი დეველოპმენტის" ბეჭედით, თითო ეგზემპლიარი. საექსპერტო დასკვნები თითოეულ მათგანზე, თითო ეგზემპლიარი;
5. შენობა-ნაგებობა №1-ის და №2-ის მშენებლობის ნებართვები, გაცემული ქ. თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის მიერ ცალცალკე, თითო ეგზემპლიარი;

შესრულებული სამუშაოების საერთო ღირებულებამ შეადგინა 948 423,16 (ცხრაას ორმოცდარვა ათას ოთხას ოცდასამი ლარი და 16 თეთრი).

დანართი: 14 ეგზემპლიარი.

შპს "ელზუროს" დირექტორი: ნონა მაჭარაშვილი

შპს "ეიჩ დი ჰაუს დეველოპმენტის"
დირექტორი: დალი ბენაშვილი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 399. უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე

1. ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მომშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე.

2. თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევაცაა, ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ. შესაბამისად გამოიყენება 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

3. უფლებამოსილ პირს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

სახელშეკრულებო სამართალი

ამ თემაში განვიხილავთ სახელშეკრულებო-სამართლებრივ საკითხებს, როგორიცაა სხვადასხვა ხელშეკრულების დადების, შესრულების, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულებიდან გასვლის და შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები.

სარჩევი:

1.ზოგადი საკითხები

სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი მიმოხილვა;
ხელშეკრულება, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი;
ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და მისი შეზღუდვა;
უძრავ ნივთზე დადებული ხელშეკრულება;
სამართლიანობის პრინციპი;

2. ხელშეკრულების დადება

ხელშეკრულების დადება და სახელშეკრულებო ბოჭვის პრინციპი;

ხელშეკრულების არსებითი პირობები;

ხელშეკრულების ფორმა;

ხელშეკრულების დადების პროცედურა;

წინარე ხელშეკრულება

3. ხელშეკრულების განმარტება

• This topic was modified 2 years ago by BLH.
სექტემბერი 4, 2014 at 11:56#34352

BLH
Keymaster

სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი მიმოხილვა

1. რა არის ხელშეკრულება? ხელშეკრულება არის ორი პირის მიერ დადებული შეთანხმება (გარიგება), რომელსაც მოყვება სამართლებრივი შედეგი, ანუ ხელშემკვრელ მხარეებს წარმოეშობათ უფლებები და მოვალეობები.

მაგ: ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით, მხარეებს (მყიდველს და გამყიდველს) წარმოეშობათ შესაბამისი უფლება-მოვალეობები. გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს ნასყიდობის საგანი და მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება, ხოლო მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ანაზღაურება და მოითხოვოს ნასყიდობის საგნის მისთვის გადაცემა.

ამდენად, ხელშეკრულება არის ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი წყარო, რომელსაც შეესაბამება კრედიტორის მოთხოვნის უფლება.

ცალმხრივი ხელშეკრულება– ერთ მხარეს წარმოეშობა მხოლოდ ვალდებულება, რომელიც შეესაბამება მეორე მხარის მოთხოვნის უფლებას.

მაგ: სესხის ხელშეკრულების დადების დროს, მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს მიღებული სესხი ისე, რომ მას არ გააჩნია არაფრის მოთხოვნის უფლება, ხოლო გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს სესხის დაბრუნება, ისე რომ მას არ აკისრია არანაირი ვალდებულება.

ორმხრივი ხელშეკრულება- ორივე მხარეს წარმოეშობა, როგორც ვალდებულება, ისე მოთხოვნის უფლება (მაგ: ნასყიდობის ხელშეკრულება. იხ. ზემოთ მაგალითი).

2. ხელშეკრულების დადება – ხელშეკრულება დადებულად ითვლება, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან მის ყველა არსებით პირობაზე, შესაბამისი ფორმით.

არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთერთი მხარის მოთხოვნით მიღწეული უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. მაგ: ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის საგანზე და ფასზე.

მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერი ფორმით დადონ ხელშეკრულება, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ხელშეკრულების შესრულების პირობები– ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება უნდა განხორციელდეს მხარეთა ხელშეკრულებით და კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. მაგ: (ვალდებულების შესრულების დრო, ადგილი, წესი და ა.შ.)

მხარეების შეთანხმება სარგებლობს უპირატესი ძალით, კანონის დისპოზიციური ნორმების მიმართ, თუმცა კანონის იმპერატიული ნორმების შეცვლა არ შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

4. სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა– მხარეების მიერ ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ისინი იქცევიან სახელშეკრულებო შებოჭვის მდგომარეობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი ვერ იტყვიან ცალმხრივად თავიანთ ვალდებულებებზე უარს და ვერ შეწყვიტავენ სახელშეკრულებო ურთიერთობას. მაგ: (მსესხებელი ვერ იტყვის უარს სესხის დაბრუნებაზე, მოიჯარე ვერ იტყვის უარს იჯარაზე ვადაზე ადრე და ა.შ.).

სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა ხდება, ვალდებულების შესრულებით, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და კანონით განსაზღვრული სხვა პირობების დადგომისას.

5. ხელშეკრულების ვადამდე მოშლა/გასვლა – ზემოთ მოყვანილი ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც ხელშეკრულების მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობა. ასეთი საფუძვლები შეიძლება იყოს განსაზღვრული როგორც კანონით (მაგ: სამოქალაქო კოდექსის 398-ე და 399-ე მუხლები) ისე მხარეთა შეთანხმებაში.

არქიტექტორი

I 64 000$ / 153 150 ლ.
II 21 040$ 51 675 ლ. 01
III 66 675$ 165 205 ლ. 28

151 715$ 370 030 ლ.

ხელშეკრულება

ქ. თბილისი 22.12 2015 წ.

ერთის მხრივ შპს. "ელზური" ს/კ 402004353 , მისი დირექტორის ნონა მაჭარაშვილის სახით პ/ნ 62001009105 , შემდგომში **"შემკვეთად"** წოდებული და მეორეს მხრივ შპს. ეიჩ დი აუს დეველოპმენტი ს/კ 404486515, მისი დირექტორის დალი ბენაშვილის სახით პ/ნ 01034005571 შემდგომში **"შემსრულებლად"** წოდებული ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **"შემსრულებელი"** ვალდებულია შეასრულოს **"შემკვეთის"** დავალებით ამ ხელშეკრულების 1.2.-ში მითითებული სამუშაო და ჩააბაროს მისი შედეგი **"შემკვეთს"** , ხოლო **"შემკვეთი"** ვალდებულია მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.

1.2. **"შემსრულებელი"** ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სამუშაო:

1.2.1. მოამზადოს შპს. **"ელზურის"** საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე , მდებარე თბილისი , გორგასლის ქ. №63 საკ.კოდი № 01.18.06.005.056 **განსახორციელებელი მრავალფუნქციური შენობა –ნაგებობის მშენებლობის პროექტი.**

1.2.2. თბილისის არქიტექტურის სამსახურში აიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება. ამ მიზნით იგი ვალდებულია მოამზადოს:

ა. სამშენებლო ტერიტორიის ტოპოგეგმა.

ბ. არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად ასაშენებელი ობიექტის ვიზუალური დოკუმენტაცია.

1.2.3. მოამზადოს და შეათანხმოს თბილისის არქიტექტურის სამსახურში არქიტექტურული პროექტი .

1.2.4. თბილისის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტზე მიიღოს მშენებლობის ნებართვა. ამ მიზნით მოამზადოს:

ა. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;

ბ. დაამონტაჟოს სამშენებლო ობიექტზე სარეკლამო ბანერი.

გ. გეოლოგიური კვლევა,დასკვნა.

დ. კონსტრუქციული პროექტი;

1.3. **"შემსრულებელი"** ვალდებულია მშენებლობის პროცესში მოამზადოს არქიტექტურული მუშა პროექტი და მშენებლობის დასრულებამდე გაუწიოს ზედამხედველობა მიმდინარე სამუშაოებს.

1.4. "შემსრულებელი" ვალდებულია მშენებლობის დასრულების შემდეგ აშენებული ობიექტის შიდა პერიმეტრზე ელექტროობის, სან-ტექნიკა-კანალიზაციის, გაზგაყვანილობისა და გათბობის სისტემების მოსაწყობად მოამზადოს საჭირო დოკუმენტაცია , რომლებიც **"შემკვეთის"** მიერ წარდგენილი იქნება შესაბამის სამსახურებში ნებართვის მოსაპოვებლად.

1.5. "შემსრულებელი" ვალდებულია მოამზადოს მშენებარე ობიექტის დოკუმენტაცია საჯარო რეესტრში სარეგისტრაციოდ.

1.6. **"შემსრულებელი"** ყველა სამუშაოს ასრულებს **"შემკვეთის"** მიერ გადახდილი თანხებით მხარეებს შორის გაფორმებული **დანართი№1-ის** სამუშაოთა შესრულებისა და ანაზღაურების ეტაპების მიხედვით , რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.7. სამუშაოთა შესრულების ვადა განისაზღვროს **დანართი №1-ში** მითითებული ეტაპების მიხედვით. **"შემსრულებელს"** უფლება აქვს სამუშაო შეასრულოს ვადაზე ადრე.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. "შემსრულებელი" ვალდებულია:

2.1.1. შეასრულოს სამუშაო ხარისხიანად და **დანართი №1-ში** დათქმული პირობებითა და ვადებში.

2.1.2. სამუშაოთა შესრულების დროს გამოვლენილი ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყონებლივ გამოასწოროს ხარვეზი საკუთარი სახსრებით **"შემკვეთის"** მითითებათა გათვალისწინებით.

2.2. **"შემსრულებლის" უფლებები:**

2.2.1. **"შემსრულებელს"** უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ხელშეკრულების საგნის შესასრულებლად მოიწვიოს და დაიქირაოს სპეციალისტები "შემკვეთის" მიერ გაწეული ხელშეკრულების საგნის ღირებულების ფარგლებში სათანადო ანაზღაურებითა და ხელშეკრულებების საფუძველზე.

2.3. **"შემკვეთის" უფლებები:**

2.3.1. "შემკვეთს" უფლება აქვს ხელშეკრულებით დათქმული სამუშაოთა შესრულების ეტაპების მიხედვით შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს **"შემსრულებელს"** .

2.3.2. მხარეთა შორის **დანართი№1-ში** გაწერილი სამუშაოთა შესრულების გრაფიკის მიხედვით გადაუხადოს "შემსრულებელს" შესრულებელ სამუშაოთა ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუკი "შემკვეთი" გადააცილებს დანართი №1-ის მიხედვით დათქმულ

ანაზღაურების რომელიმე ვადას, შესაბამისად იმავე ვადით გადაიწევს სამუშაოთა შესრულების შემდგომი ეტაპის ვადაც.

3.მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. მხარეები თანხმდებიან, რომ "შემსრულებლის" მიერ შესრულებულ კონსტრუქციულ პროექტს მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ ჩაუტარდეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზა **"შემკვეთის"** ხარჯებით. თუკი ექსპერტიზის დასკვნა იქნება უარყოფითი ან /და ისეთი ხარვეზის შემცველი, რისი გამოსწორებისთვისაც საჭირო იქნება დამატებითი ვადები და თუკი იგი გამოწვეული იქნება **"შემსრულებლის"** ბრალეულობით, იგი ვალდებული იქნება ასეთი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით , ხოლო ვადის გადაცილებისათვის **"შემკვეთს"** გადაუხადოს ჯარიმის სახით ხელშეკრულების საგნის მთლიანი ღირებულების **0,01%-ს** ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

3.2. მხარეები თანხმდებიან, რომ დაცული იქნება **"შემსრულებლის "** საავტორო უფლება, კერძოდ, წინამდებარე ხელშეკრულების საგანი– **"შემსრულებლის"** მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტი წარმოადგენს მის საავტორო ნამუშევარს და იგი არ იქნება გადაკეთებული შენობის ფასადსა და კონსტრუქციულ ნაწილში, ასევე არ შეიცვლება საინჟინრო კომუნიკაციები (შახტები) არქიტექტორთან შეუთანხმებლად.

3.3. მხარეთა პასუხისმგებლობის ზომები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, განისაზღვრება მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

4. დავათა გადაჭრის წესი

4.1. დავები და უთანხმოებანი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულების შესრულებისას, გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

5. სხვა პირობები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული პირობების დადგომის შემთხვევაში.

5.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა ხელმოწერების შესრულებისა და ბეჭდით დამოწმების შემდეგ.

5.3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი ძალის ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ მხარეებს.

6. მხარეთა პერსონალური მონაცემები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

“შემკვეთი”

შპს. “ელზურო” ს/კ 402004353

დირექტორი ნონა მაჭარაშვილი

პ/ნ 62001009105



“შემსრულებელი”

შპს. ეიჩ დი აუს დეველოპმენტი ს/კ 404486515

დირექტორი დალი ბენაშვილი

პ/ნ 01034005571

